ПРОЛЕТАРЕБО ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

□ ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ 31 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ, 1978 Წ. □ № 26 (17070) □ ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐᲞ.

1920 □ ᲙᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ □ 1978

ᲛᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓᲛᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲛᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲛᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘᲡ ᲒᲘᲠᲗᲕᲛᲐ, ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲐᲫᲚᲘᲔᲠᲝᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲤᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲮᲐᲠᲔᲖᲔ, ᲓᲦᲔᲜᲘᲐᲓᲐᲒ ᲘᲛᲣᲨᲠᲣᲜᲝᲜ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲐᲚᲛᲐᲨᲠᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲔᲠᲗᲘᲡᲣᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲫᲘᲔᲑᲘᲡ ᲐᲢᲛᲝᲡᲤᲔᲠᲝᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲡᲙᲙ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ, ᲡᲙᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲙᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲐᲚᲙᲰ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲗ.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘᲡ ᲑᲔᲓᲘ, ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲓᲐᲡᲐᲮᲣᲚᲝᲑᲐᲗᲐ ᲑᲔᲓᲘ ᲣᲨᲣᲐᲚᲝᲓ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲣᲑᲜᲔᲑᲖᲔ, ᲩᲕᲔᲜᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘᲡ ᲬᲧᲓᲔᲑᲖᲔ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲒᲐᲡᲐᲒᲔᲑᲘᲐ, ᲗᲣ ᲠᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲠᲝᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲐ ᲐᲙᲘᲡᲠᲝᲜᲘᲐᲗ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓ ᲠᲒᲝᲚᲘᲡᲐ — ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘᲡ ᲒᲔᲑᲠᲫᲝᲚ ᲐᲕᲐᲜ�გᲐᲠᲓᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛ ᲝᲗᲮᲣᲘᲐᲜ, ᲛᲝᲗᲘᲗᲘᲡ ᲮᲔᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲣᲚᲘᲡ ᲬᲐᲛᲝᲛᲘᲗᲘᲡ ᲬᲧᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲬᲧᲓᲔᲑᲐ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲐᲛᲟᲐᲛᲐᲓ 11 ᲐᲗᲐᲡᲬᲚᲘᲡ ᲛᲔᲢᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲐ. ᲗᲐᲗ ᲨᲠᲝᲡᲘᲡ ᲪᲝᲢᲐ ᲠᲝᲓᲘᲐ ᲘᲡᲔᲗᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲨᲘᲪ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲣᲑᲜᲔᲑᲖᲔ, ᲩᲕᲔᲜᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲑᲖᲔ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲒᲐᲡᲐᲒᲔᲑᲘᲐ, ᲗᲣ ᲠᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲠᲝᲚᲘ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ: „ᲢᲐᲪᲐᲪᲐᲢᲣᲪᲘ ᲑᲔᲕᲠᲘᲐ, ᲜᲐᲪᲕᲔᲠᲩᲐᲚᲘ ᲙᲘ ᲐᲠ ᲩᲐᲜᲡ“.

ᲒᲣᲓᲐᲣᲗᲘᲡ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲚᲐᲙᲝᲑᲐᲨᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲘᲡ, ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲐ „ᲖᲕᲐᲜᲓᲠᲘᲤᲨᲘᲗᲘᲡ“, „ᲑᲐᲠᲛᲘᲨᲘᲗᲘᲡ“, ᲡᲐᲛᲠᲔᲣᲬᲕᲔᲚᲝ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ ᲐᲠᲐ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲣᲛᲬᲧᲝᲑᲔᲚᲘᲐᲗ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲮᲐᲠᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲛᲝ, ᲗᲣ ᲠᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲠᲝᲚᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲝᲑᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲛᲝ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲤᲐᲡᲘᲡᲬᲐᲛᲝᲛᲘᲗᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲓᲐᲡᲛᲣᲚᲘ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ.

ᲐᲮᲚᲐ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜᲐᲕᲘ ᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲠ ᲓᲐᲡᲐᲮᲣᲚᲘ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲘᲡ ᲗᲣᲗᲘᲡᲛᲝᲛᲬᲧᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲗᲐ ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲤᲐᲠᲐᲢᲘᲜᲐ ᲓᲐᲠᲩᲐ.

ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲣᲚᲝᲑᲘᲡ, ᲓᲐᲮᲕᲔᲡᲔᲑᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲡᲪ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲮᲐᲠᲔᲖᲔ, ᲓᲦᲔᲜᲘᲐᲓᲐᲒ ᲘᲛᲣᲨᲠᲣᲜᲝᲜ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲐᲚᲛᲐᲨᲠᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲔᲠᲗᲘᲡᲣᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲫᲘᲔᲑᲘᲡ ᲐᲢᲛᲝᲡᲤᲔᲠᲝᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲛᲐᲦᲚᲐ ᲛᲘᲘᲬᲔᲕᲡ ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ

ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘ. (ᲡᲐᲥ. ᲙᲝᲠ.). ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ № 121 ᲛᲝᲛᲠᲐᲕᲚᲛᲐ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲙᲝᲚᲝᲜᲐᲛ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲡᲪ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ ᲝᲜᲣᲠᲘ ᲐᲜᲓᲠᲔ ᲘᲐᲜᲔᲠᲘ Ო. ᲘᲐᲜᲔᲚᲘ, ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘᲓᲐᲜᲔᲛᲓᲔ ᲤᲐᲠᲗᲝ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲚᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲐᲠᲔ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲔᲑᲖᲔ. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘᲡ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲝ ᲐᲢᲠᲘᲡᲐᲬᲧᲝᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲖᲔ. ᲛᲐᲦᲚᲐ ᲛᲘᲘᲬᲔᲕᲡ. ᲛᲐᲦᲚᲘᲡ ᲐᲛ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲪᲘᲠᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ. ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲐᲛ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲪᲘᲠᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲣᲠᲐᲓ ᲓᲐᲓᲒᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲛᲬᲐᲚᲝᲠᲝᲓ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲐᲡ ᲤᲠᲐᲑᲘᲚᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘᲡ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ Ო. ᲑᲣᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ, ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲗᲐ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲣᲠᲐᲓ ᲓᲐᲓᲒᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲗ ᲛᲘᲠ ᲩᲐᲒᲓᲔᲚᲘ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲤᲐᲠᲐᲢᲘᲜᲐ ᲓᲐᲠᲩᲐ.

ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲚᲐᲓ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ. „ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲒᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲘᲡᲐ“ ᲓᲐ „ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲐᲞᲐᲠᲐᲢᲘᲡ“ ᲥᲐᲠᲮᲜᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲐᲤᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲠᲘᲢᲛᲣᲚᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲛᲐᲗ ᲓᲐᲓᲒᲣᲚ ᲮᲔᲚᲨᲔᲬᲧᲠᲚᲘ, ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲛᲮᲡᲜᲘᲚᲘ ᲤᲐᲠᲗᲝ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲐᲠᲔ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲔᲑᲖᲔ. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲧᲣᲠᲐᲦᲑᲘᲗ ᲛᲘᲔᲥᲪᲘᲗ ᲠᲘᲒᲘ ᲬᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲛᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲪᲘᲜᲔᲠᲘᲡ, ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲒᲐᲜᲘᲮᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲪᲘᲜᲔᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲮᲡᲜᲘᲚᲘ ᲤᲐᲠᲗᲝ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲐᲠᲔ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲔᲑᲖᲔ. ᲔᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲗᲣᲠᲛᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲗᲕᲔ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ

ჩვენი საბრძოლო პროგრამა

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს VI პლენუმზე

27 იანვარს გაიმართა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს VI პლენუმი. პლენუმის მონაწილეებმა მოისმინეს საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის თ. მოსაშვილის მოხსენება „სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმის შედეგები და რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციების ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობს პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვიდან, სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილიდან, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმის გადაწყვეტილებებიდან“.

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობდნენ რუსთაველის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვ. მეტრეველი, აჭარის პროფკავშირის საოლქო საბჭოს მდივანი გ. კიკნაძე, საქართველოს სსრ საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრი ვ. სობოლევი, სამხრეთ ოსეთის პროფკავშირის საოლქო საბჭოს თავმჯდომარე კ. გაზაევი, ელექტროსადგურებისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე დ. ბაკურაძე, სოხუმის სამკერვალო ფაბრიკის მკერავი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ზ. ხაკბა, ფოთელმყარის რაიონის სოფელ ზემო ქედის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, ქ. ტყიბულის ორჯონიკიძის სახელობის შახტის მუშა ს. ბოჭორიშვილი, თბილისის სტალინის სახელობის ელექტროგადამშემკეთებელი ქარხნის დირექტორი ტ. ჯაბაური, „თბილმრეწვეიბრობის“ № 2 მაღაზიის უფროსი ^ გამყიდველი ც. ბელელური, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ვადაჭკორია და სხვები.

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პლენუმმა მთლიანად და სავსებით მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში ჩამოყალიბებული დებულებები და დასკვნები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს VIII სესიის, საქართველოს კომპარტიის VIII ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმის გადაწყვეტილებანი და მიიღო ისინი ხელმძღვანელობისა და შესრულებისათვის, როგორც რესპუბლიკის პროფკავშირთა საქმიანობის საბრძოლო პროგრამა.

ამ ისტორიულ დოკუმენტებში, ხაზგასმით აღნიშნეს პლენუმის მონაწილეებმა, მაღალი შეფასება აქვს მიცემული საბჭოთა ადამიანების თავდადებულ შრომას. მეათე ხუთწლედის ორ წელიწადში შეიტანეს შედეგები, ჩამოყალიბებულია მომავლის ამოცანები, რომელთა წარმატებით გადაწყვეტა ურუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი განვითარების შესახებ სკკპ XXV ყრილობისა და სსრ კავშირის პროფკავშირთა XVI ყრილობის გადაწყვეტილებების უთუო შესრულებას.

ორატორებმა ილაპარაკეს იმ მნიშვნელოვან წარმატებებზე, რომლებსაც საქართველოს მშრომელებმა მიაღწიეს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.

პლენუმმა აღნიშნა, რომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ძირითად დარგებში მიღწეულმა წარმატებებმა გაადიდა მისი საერთო ეკონომიკური პოტენციალი, უზრუნველყო საერთო-ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდა, გამოიწვია მოსახლეობის ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლება.

მაგრამ, აღინიშნა პლენუმზე, — რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობის დონე ჯერ კიდევ სრულად არ შეესაბამება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმის მოთხოვნებს. პროფკავშირული ორგანიზაციები უურადღებას არ უთმობენ იმას, რომ მთელ რიგ შემთხვევებში პროდუქციის მოცულობის ზრდას აღწევენ არა შრომის ნაყოფიერების გადიდების, არამედ დამატებითი მუშახელის მიზიდვის გზით. ბევრ საწარმოში ჯერ კიდევ სუსტად წარმოებს ბრძოლა ლითონისა და სხვა მასალების ყაირათიანი ხარჯვისათვის, ირღვევა შრომის დისციპლინა, არ სრულდება ახალი ტექნიკის დანერგვის გეგმები. პროფკავშირული ორგანიზაციები სრულად არ იყენებენ წარმოების მართვაში მშრომელთა ჩაბმის ისეთ მნიშვნელოვან ფორმას, როგორიც არის მუდმივმოქმედი საწარმოო თათბირი.

როგორც მოხსენებასა და ორატორთა გამოსვლებში აღინიშნა, იმ ამოცანების შესაბამისად, რომლებიც წამოყენებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილში, შეჯიბრების მონაწილეთა მთავარი ყურადღება ეთმობა ბრძოლას წარმოებისა და მუშაობის ხარისხის მაღალი ეფექტიანობისათვის. ამასთან, სამწუხაროდ, სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობაში ჯერ კიდევ ბევრია ფორმალიზმი, მასში საკმაო ყურადღება არ ეთმობა ხარისხობრივ მაჩვენებლებს, მთლიანად არ არის გამოყენებული დამკვრელური შრომის ისეთ მძლავრი სტიმულები, როგორიცაა შეჯიბრების საჯაროობა, მოწინეების მორალური და მატერიალური წახალისება, მოწინავე გამოცდილების პროპაგანდა და გავრცელება.

ზოგიერთ შრომითს კოლექტივში ჯერ კიდევ საკმაოდ აქტიურად არ ინერგება რუსთაველ მეტალურგთა პატრიოტული თაოსნობა სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებისათვის. პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტსა და თბილისის პირველი მაისის რაიკომის მნიშვნელოვანი ინიციატივა — ვიმუშაოთ ისე, რომ არ გვყავდეს ჩამორჩენილი საწარმოები. სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში, განსაკუთრებით მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროებში ჯერ კიდევ არის სოციალისტური კანონიერების დარღვევის, ბიუროკრატიზმის, კერძომესაკუთრული ტენდენციების გამოვლინების შემთხვევები.

პლენუმმა მოიწოდა რესპუბლიკის პროფკავშირულ ორგანიზაციებს მეტი ძალით აწარმოონ შეურიგებელი ბრძოლა ეკონომიკასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ.

პლენუმმა მოისმინა საქართველოს პროფსაბჭოს მდივნის ე. კაპანას ინფორმაცია „საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს საჯიმაოო სოციალური ოაზოვეების 1976 წლის ბიუჯეტის შესრულებისა და სახელმწიფო დაზოგვის 1978 წლის ბიუჯეტის თაობაზე საფინანსო ანგარიშის დამტკიცების შესახებ“.

ინფორმაცია „საქართველოს პროფკავშირთა XVI ყრილობაზე გამოტანილი კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების განხილვის მდგომარეობის შესახებ“ გააკეთა საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე ზ. ბაკაძემ.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ^ ინტერნალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილე ვ. ბაჭრაძე.

პლენუმის მონაწილეებმა აღუთქვეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ ყოველ ღონეს იხმარენ, რათა შეასრულონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის მიერ დასახული ამოცანა — 1978 წელი გადააქციონ დამკვრელური შრომის წლად და ახალ წარმატებებს მიაღწიონ სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული ისტორიული ამოცანების განხორციელებაში. (საქინფორმი)



სწავლობენ დიდმნიშვნელოვან დოკუმენტებს

ბურჯაანის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების ქსელში, რომელშიც ათობით ადამიანია ჩაბმული, მსმენელთა უურადღებას სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმის მასალები, პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის გამოსვლის დებულებები და დასკვნები.

ნაყოფიერად ჩაიარა ამ წლის პირველმა მეცადინეობებმა გურჯაანის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატში. აქ პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების ქსელში ჩაბმულია 60-ზე მეტი მუშაკი.

საქინფორმის ფოტოკორესპონდენტის მიერ გადაღებულ სურათზე აღბეჭდილია ერთ-ერთი მეცადინეობა კომბინატის ეკონომიკური და პოლიტიკური განათლების ქსელში. სწავლობენ თეძას „მეათე ბუთწლედის დავალებათა შესრულება მთელი ხალხის საქმე, თითოეული საბჭოთა ადამიანის პატრიოტული მოვალეობა“. მეცადინეობას ხელმძღვანელობს პროპაგანდისტი ვლადიმერ გოგინაშვილი.

ვ. ებანოშვილი ფოტო (საქინფორმის ფოტოკორესპონდენტი).

ზუგდიდელ კომუნისტ ფეიქართა კრება

წლები გაღის, ჩამორჩენა კი რჩება

აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკის კრების დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე ვეწვიეთ, გავეცანით მისი კოლექტივის საქმიანობას. ეს საწარმო წლების მანძილზე ჩამორჩენილია, ვერ ასრულებს გეგმებს, ვალდებულებების განადგურებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ასევე იყო დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის საიუბილეო წელსაც. მაგრამ, მიუხედავად გეგმების კორექტირებისა, ფეიქრებმა სახელმწიფოს 70 ათასი მანეთის ხამი აბრეშუმის ქსოვილი დააკლეს.

რატომ მოხდა, რომ ფაბრიკამ წლების მანძილზე ვერ იქნა და თავი ვერ დააღწია ჩამორჩენას?

ამ საკითხებზე ვესაუბრეთ ფაბრიკის ახალ დირექტორს ზ. ქობალიას, რომელიც ამ ორი თვის წინათ შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას, პარტბიუროს მდივანს რ. ჯობაძეს, კომკავშირის კომიტეტის მდივანს ლ. ქარჩიას, მრავალდაზგოსან ფეიქრებს... მათ ჩამორჩენის გამომწვევი ბევრი ისეთი მიზეზი დაგვისახელეს, რომელთა გამოსწორება თვითონ ნამდვილად არ ძალუძთ.

გამორკვეა, რომ ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანება (გენერალური დირექტორი ვ. ხაზარაძე), რომელსაც ამ ბოლო წლებში რამდენჯერმე გაიმარჯვა როგორც რესპუბლიკურ, ისე საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და რომლის შემადგენლობაშიც 1968 წლიდან შედის ზუგდიდის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა, ჯეროვნად, საქმის ცოდნით ვერ ხელმძღვანელობს მას, ოპერატიულად არ ახდენს რეაგირებას მის საჭიროებებსა და მოთხოვნილებებზე. უფრო მეტიც. გაერთიანების პარტიულ კომიტეტთან არსებული სოციალისტური შეჯიბრების ხელშემწყობი ცენტრალური კომისიის წევრები არც ერთხელ არ ყოფილან ფაბრიკა-ფილიალში, არ დაინტერესებულან სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობით, იმ მიზეზებით, რომლებიც ფაბრიკას ხელს უშლის გეგმიანდადებულებების შესრულებაში.

ეს განსაკუთრებით შეიშნევა ნებლია დღეს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის შემდეგ. ეი თითქმის ნახევარი თვეა, რაც გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილი, საქართველოს კომპარტიის ^ ^ ^

სოციალისტური დემოკრატია და ეკონომიკური ბაზისი

თეორიის საკითხები

ლ. ი. ბრეჟნევის სტატიაში — „კომუნიზმის აზის ისტორიული მიზნა". მის გამოსვლებში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე რიგგარეშე სესიასა და დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის საიუბილეო სხდომაზე, პასუხი გაიცა იმ კარდინალურ პრობლემებს, რომლებსაც ჩვენი თანამედროვეობა ასე მწვავედ აყენებს ამ ეტაპზე. ეს დოკუმენტები უდავოდ აღრმავებენ და ამდიდრებენ ჩვენს ცოდნას მომწიფებული სოციალიზმის განვითარების კანონზომიერების, სოციალისტური დემოკრატიის არსისა და კრიტერიუმების შესახებ და ჩვენი საზოგადოების განვითარების აწლანდელი ეტაპის საშინაო და საგარეო ამოცანების მაჯიდი დახასიათებას გვაძლევენ.

როცა სოციალისტური დემოკრატიის განვითარების ახასიათებს ჩვენს ქვეყანაში, ამბ. ლ. ი. ბრეჟნევი სტატიაში „კომუნიზმის აზის ისტორიული მიზნა" წერს, რომ „დემოკრატიის პრინციპები პირველად განხორციელდა საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში. მათ შორის მის ბაზისზეც — წარმოებით ურთიერთობაზეც". მხოლოდ სოციალიზმმა შესძინა დემოკრატიას ამ სიტყვის ჭეშმარიტი მნიშვნელობა — ხალხის ხელისუფლების მნიშვნელობა. განვითარებული სოციალიზმის პირობებში ბორკი შეესწავ ნამდვილ დემოკრატიას, სოციალისტურ დემოკრატიას. რომელიც სოციალიზმის მთავარ კრიტერიად საზოგადოებრივი წარმოებისა და ხელმწიფოს ყოველდღიურ მმართველობაში მშრომელთა თანთა მჭიდის დამოუკიდებელი მონაწილეობა მიიჩნდა. დღის ქვეყნის ცხოვრების მართვაში მშრომელთა მესამის სულ უფრო თანთა და აქტიური მონაწილეობა ჩვენი საზოგადოების განვითარების აწლანდელი ეტაპის საშინაო და საგარეო ამოცანებ ჭავლენ.

ამ სტატიაში ამ ეტაპზე ეს ... ბა თავისი არსითა და ხასიათით დემოკრატიული.

სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობის ერთ-ერთი თავისებურება ის არის, რომ იგი პირველ რიგში შრომელთა შორის მატერიალურ ურთიერთობას წარმოადგენს. ეს არის ექსპლოატაციისგან თავისუფალი, თანასწორუფლებანი, ასოციირებული მწარმოებლების ურთიერთობა. აქ წარმოებითი ურთიერთობის სუბიექტი მხოლოდ ხალხი, მშრომელთა კოლექტივებია. წარმოებითი ურთიერთობა ამხანაგური თანამშრომლობისა და სოციალისტური ურთიერთდახმარების ხასიათის ატარებს: „კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობა კი, მარქსის თქმით, „...ყველა ფეტიშებ, ყველა ფიზიკური და საშაოლო გლეხიც კი, ყველა, ვისაც ცხოვრებაში გაჭირვება უნახავს, ყველა, ვისაც ოდესმე საკუთარი ხელფასით უცხოვრია".

ამრიგად, პროდუქტების განაწილების წესი დღეს ხალხის მიერ მოწონებულია და იგი ყოველმხრივ შეესაბამება სოციალისტური ბაზისის დემოკრატიულ ბუნებას.

განვითარებული სოციალიზმის ეკონომიკა შეიქმნებული სახალხო-სამეურნეო კომპლექსია, რომელშიც მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო მეურნეობები შედის და რომელიც ერთიანი სამეურნეო გეგმით მთელი ქვეყნისა და თითოეული რესპუბლიკის ინტერესებისათვის ეითარდება. ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის ჩამოყალიბება და განვითარება ობიექტური პროცესია, იგი განპირობებულია წარმოების სოციალურ ბაზაზე საზოგადოებრივი საკუთრებით და სოციალიზმის ეკონომიკური კანონების მოთხოვნებით, მაგრამ ამ ერთიანი კომპლექსის შექმნა აქტომატურად, თვითდინებით ორდი მიმდინარეობდა. იგი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, სოციალისტური სახელმწიფოს მეშვეობით ყალიბდებოდა. პარტია ყოველთვის ითვალისწინებდა და აღწევდა კიდეც ამას, რომ ჩვენი ქვეყნის საერთო ინტერესი და მოკავშირე რესპუბლიკების ინტერესები ერთმანეთთან სწორად შეხამებულიყო. დღეს საბჭოთა ხალხის ცხოვრებსეულმა გამოცდილებამ დაამტკიცა, თუ რაოდენ კოლოსალური შესაძლებლობას ქმნის ერთიანი საკავშირო ეკონომიკა რესპუბლიკების ეკონომიკური და კულტურული აღმავლობისათვის. თითოეული რესპუბლიკის ეკონომიკური მდგომარეობა დამოკიდებულია არა მარტო საკუთარ წარმოებაზე, არამედ სხვა მომეტ რესპუბლიკების ეკონომიკაზეც, მათს ურთიერთდახმარებაზე. ცხოვრებამ დადასტურა, რომ ყოველი რესპუბლიკის შემდგომი აყვავება და განმტკიცება მხოლოდ სსრ კავშირის მომეტ ერების დიად ოჯახია შესაძლებელი.

ეკონომიკურ ბაზისზე სოციალისტურები დემოკრატია სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპის, სთანამიმდევრული გაერთიანებულ ... ...

წყალტუბოს მომავალი

წყალტუბო უაღრესად კოლორიტული, თავისთავადი კურორტია. ამის ძირითადად განსაზღვრავს წყალტუბოს გეოგრაფიული მდებარეობა, კლიმატური თავისებურებანი, მინერალური წყაროების ფიზიკურ-ქიმიური თვისებები, მკურნალობის განსაკუთრებული მეთოდიკა და, რაც მთავარია, ადამიანის ორგანიზმზე მისი ცხოველმყოფელი მოქმედება.

მთავარი კი წყალტუბოსათვის მაინც მისი სამკურნალო წყაროებია. ამჟამად აქ 16 სანატორიუმი და ორი პანსიონატია 5.118 საწოლით. 1000-დე ავადმყოფი ამბულატორიულად საკურსოებით მკურნალობს. 8 საბაზანოში 11 ტუნი და 258 ინდივიდუალური აბაზანაა, რომლებიც საათში 630 ავადმყოფს ემსახურებიან. ყოველწლიურად წყალტუბოში 100.000-დე ავადმყოფი მკურნალობს.

წყალტუბოს წინაშე დღეს გაცილებით მეტი პრობლემები დგას, ვიდრე ოდესმე. მათ შორის გლობალურია საბაზანოთა მშენებლობა, რაც ბევრად არის დამოკიდებული ბალნეოლოგიურ რესურსებზე, მისი მოხმარების ფორმებზე.

სანატორიუმებსა და საბაზანოებს შორის არსებული დისპროპორცია უარყოფით გავლენას ახდენდა კურორტის განვითარებაზე, საბაზანოები ვერ უზრუნველყოფდა გაზრდილ მოთხოვნილებას. უკანასკნელ ათწლეულში ახალი საბაზანოების აგების ნაცვლად ერთ-ერთი საბაზანო დაინგრა—ეს მაშინ, როცა საწოლთა რაოდენობა სისტემატურად მატულობს. ამჟამად შენდება № 9 საბაზანოს მეორე კორპუსი, რომელიც ერთგვარად განტვირთავს საბაზანოებს, თუმცა მისი გაჭიანურებული მშენებლობა იმაზე მეტყველებს, რომ თუ ახლავე არ დაპროექტდა ახალი საბაზანები, დისპროპორცია კვლავ გაიზრდება.

წარსულში წყალტუბოს წყალს დიდი დებიტის გამო ხელოვნებით ეპყრობოდნენ, იღვრებოდა და იკარგებოდა ბუნების ეს სიკეთე. ახლა ამოცანა ის არის, რომ გამოვაკლინოთ წყაროების მარაგი, მინერალური წყლის რესურსები. პირველ რიგში ეს უნდა მოხდეს ღამის დებიტის ხარჯზე. ზუსტად უნდა განვსაზღვროთ, რამდენი ლიტრი წყალია საჭირო თითოეული ავადმყოფისათვის და ფაქტიურად რამდენი იხარჯება. პრაქტიკაში ფართოდ უნდა დაინერგოს მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევები—ავტომატიზაცია, მექანიზაცია, სიგნალიზაცია, რითაც დაიხვეწება ბალნეოტექნიკური სამსახური. ბალნეოტექნიკური დარგის მაღალი დონე კი მინერალური წყლის დამატებითი რეზერვების გამოყენების, მისი ეფექტიანი გამოყენების საშუალებას იძლევა.

ბალნეოტექნიკური სამსახურის დაბალმა დონემ თავის დროზე განაპირობა № 6 წყაროს წყლის ერთი გრადუსით დაბალი ტემპერატურა, ხოლო № 8 საბაზანოში მარმარილოს აბაზანები მიწაშია ჩასმული და წყალტუბოს წყლის ისედაც დაბალი ტემპერატურა აბაზანის მარმარილოს კედლებისა და მიწის გათბობაზე იხარჯება.

ამ რამდენიმე წლის წინათ № 4 წყაროს წყალი № 2-ით შეიცვალა. ალბა № 4 საბაზანო, წყლის დაბალი ტემპერატურის გამო მხოლოდ რამდენიმე თვეს მუშაობდა, ახლა ეს რეკონსტრუირებული საბაზანო მთელი წლის განმავლობაში, ფუნქციონირებს, თუმცა აქაც საჭიროა მოეწყოს დებიტსაზომი.

წლითიწლობით ფართოვდება წყალტუბოში წყალქვეშა სამკურნალო ვარჯიში, როგორც ერთ-ერთი ეფექტიანი საშუალება. ალბათ უმჯობესი იქნებოდა ყველა აუზი ამ მიზნით გამოგვეყენებინა. № 5 წყაროში დაიდგა წყალქვეშა გაჭიმვის ოთხი დანადგარი, ორიც გათვალისწინებულია № 9 საბაზანოს მშენებარე მეორე კორპუსში. წყალქვეშა გაჭიმვას კვლავაც მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს, რადგან იგი ერთ-ერთი საშუალებაა ისეთი გავრცელებული დაავადების სამკურნალოდ, როგორიც არის სხვადასხვა წარმოშობის რადიკულიტი. აქ პოპულარულია წყალქვეშა მასაჟი, ნაწლავების გამორეცხვა და სხვა პროცედურები.

საბაზანოების განუწყვეტელი ექსპლოატაციის ამჟამად არსებული წესი გარკვეულ დაღს ასვამს საბაზანოების სანიტარიულ-ჰიგიენურ პირობებსა და ბალნეოტექნიკას. საბაზანოების სისტემატური ექსპლოატაციის პირობებში შეუძლებელი ხდება აღდგენითი სამუშაოები.

ახალ საბაზანოთა საექსპლოატაციოდ გადაცემის კვალობაზე აღდგენილ უნდა იქნეს წარსულში არსებული სანიტარიული (მესვენების) საათი და დღე, იმ გარიაუდით, რომ მომავალში საბაზანოებისათვის მონაცვლეობით შემოიღოთ დასვენების დღეები.

მეცნიერების წინაშე დგას ერთიანბაზანიანი სისტემის სამკურნალო და ეკონომიკური ეფექტიანობის დასაბუთება. ეს მეთოდი გაცილებით მეტი ავადმყოფის მიღების საშუალებას იძლევა, ვიდრე ამჟამად არსებული, იმ შემთხვევაშიც კი თუ მკურნალობის ხანგრძლივობა 20-დან 24 დღემდე გაიზრდება. ეს მეთოდი უკვე დამკვიდრებულია და წარმატებით გამოიყენება კურორტოლოგიის ინსტიტუტის ფილიალში, თავდაცვის სამინისტროსა და უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის სანატორიუმებში.

წყალტუბო ერთადერთი ბალნეოლოგიური კურორტია, სადაც შესაძლებელია ყველა ასაკის ბავშვის წარმატებით მკურნალობა. ამ მხრივ ბევრი რამ ხელახლა არის გასაკეთებელი. უნდა აშენდეს სანატორიუმები ყველა ასაკის ბავშვისა და მოზარდისათვის, ბავშვთა ორგანიზმისათვის მისადაგებული საბაზანო კომბინატები ჰიდროპროცედურების კომპლექსით.

სპელეოთერაპია ერთ-ერთი უახლესი პრობლემათაგანია. კურორტოლოგიის ინსტიტუტი და მისი წყალტუბოს ფილიალი სწავლობს საქართველოს სხვადასხვა კუთხის გამოქვაბულების მიკროკლიმატს, მათ შორის წყალტუბოში „თეთრი მღვიმისა“ და „სათაფლიას“ კარსტულ მღვიმეებს. დადგენილია, რომ მღვიმეების მიკროკლიმატს ახასიათებს სუფთა ჰაერი, ზამთარ-ზაფხულ მუდმივი ტემპერატურა, საკმაოდ მაღალი ტენიანობა, მყარი ბარომეტრული წნევა, ჰაერის მაღალი იონიზაცია. სპელეოთერაპიის პიონერედ ცნობილი არიან წყალტუბოელი მეცნიერები. ჯერ დაადგინეს ასეთი თერაპიის ეფექტიანობა, ბრონქული ასთმისა და გულსისხლძარღვთა სისტემის ზოგიერთი დაავადების დროს.

ბრონქული ასთმისა და საერთოდ ალერგიულ დაავადებათა მკურნალობა მედიცინის აქტუალურ პრობლემებს განეკუთვნება. სპელეოთერაპია შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამკურნალოდ სხვა დაავადებათა დროსაც. ამიტომ მღვიმეების მკურნალოდ გამოყენების მეცნიერული შესწავლა და ამ მიზნისათვის არსებულ საშუალებათა გამოვლენა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა.

რადგან წყალტუბოს ქვაბულის კლიმატი შეუფერებელია ალერგიით დაავადებულთათვის, სანატორიუმები სპელეოთერაპიით მკურნალობისათვის უნდა აიგოს გორდისა და სათაფლიას მიდამოებში. აღნიშნულ რეგიონში სასურველია გამოვლინდეს სხვა კლიმატური პუნქტებიც, რომლებიც „დიდი სოჭის“, „დიდი იალტის“ მსგავსად უნდა გაერთიანდნენ ერთ მთლიან ბალნეოკლიმატოთერაპიულ ზონაში, ე. წ. „დიდი წყალტუბოს“ სახით.

საკითხის ამგვარ გადაწყვეტას სამედიცინო და ეკონომიკური თვალსაზრისით დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია.

საკურორტო მეურნეობასა და ტურიზმს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი რესპუბლიკისათვის. ამიტომაც უფრო მკვიდრდება აზრი „დიდი წყალტუბოს“ საკურორტო-ტურისტული ეკონომიკური რაიონის შესაქმნელად. იქნებ მომავალში ამ ჯგუფში მოექცნენ მენჯი, ცაიში, საირმე, შოგი, უწერა, გორდი, სათაფლია და სხვა კურორტები.

საღეღისოდ წყალტუბოს შესახებ გამოქვეყნებულია 800-მდე მონოგრაფია, პოპულარული ბროშურა, მეცნიერული შრომა. მიუხედავად ამისა, ფაქტიურად არ არსებობს ლიტერატურა ფართო მკითხველისათვის. წიგნის ძალა კი მკურნალობის ორგანიზაციის საქმეში უდიდესია.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემა თანაბარწილად (ზოგჯერ მეტადაც) ეხებათ მეცნიერებს. საკურორტო მეცნიერებათა წარმომადგენლებს დიდი ვალი ეკისრებათ კურორტების, კერძოდ წყალტუბოში წამოჭრილი პრობლემური საკითხების გადაწყვეტისათვის.

ო. შავიანიძე,
საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ი. კონიაშვილის სახელობის კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წყალტუბოს ფილიალის დირექტორი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.



ფოთის შრომის სასახლე

ამ რამდენიმე ხნის წინათ საქართველოს სსრ სახმშენმრეკომენდაცია მისცა დასამტკიცებლად ქ. ფოთის სასახლის პროექტს. არქიტექტურულმა საბჭომ აღნიშნა პროექტის მაღალი დონე და თავისთავადობა. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დამუშავდა საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტთა საპროექტო ბიურომ. ავტორები არიან არქიტექტორები შ. ბოსტანაშვილი და ვ. დავითაია, მთავარი კონსულტანტორი — კ. ტაბატაძე, მთავარი სპეციალისტები — ტ. ოხრამჩუკი, ი. ზლატმანი და ვ. იურეკეი; პროექტის დამუშავებაში მონაწილეობა მიიღეს არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტმა ლ. ძეგრელიშვილმა, ჯ. გიგიბერიამ, მ. ხუდაევამ, შ. ბაახიამ, ნ. კოპეიკინმა, ნ. დვალმა, მ. ჭყუასელმა, ბ. ბერიშვილმა და სხვებმა.

შენებლობისათვის განკუთვნილი ნაკვეთი მდებარეობს საზღვაო ნავსადგურსა და ცენტრალურ მოედანს შორის. ამ შენობათ საფუძველი ეყრება ქალაქის მომავალი კულტურულ-საზოგადოებრივი ცენტრის განვითარებას. შენობა მრავალფუნქციურია. აქ იქნება 750-ადგილიანი მაყურებელთა დარბაზი, მცირე დარბაზ-ლექტორიუმი, საბრძოლო და შრომითი დიდების დარბაზები, ჟორნენების სახლი, ახალგაზრდული კაფე-ბარი, სახვითი ხელოვნების, მუსიკალური, ქორეოგრაფიული, ტექნიკური, თეატრალური, კინოხელოვნებისა და სხვა წრეების კლასები.

შენობის არქიტექტურულ-სივრცობრივი კომპოზიცია მნიშვნელოვნად განაპირობა ტერიტორიის განაშენიანების სიმჭიდროვემ და ბუნებრივ-კლიმატურმა ფაქტორებმა. შრომის სასახლის ძირითადი — IV-V სართულები „დევს“ ოთხ მთავარ და ორ შუალედურ ბურჯებზე, რითაც იქმნება ღია სივრცე „სახურავის ქვეშ“, რომელიც უზრუნველყოფს საექსპლოატაციო კომფორტს ყოველნაირ ამინდში. დაგეგმარების ამ ხერხით მინიმუმამდეა მომავალი საზოგადოებრივ-კულტურული ცენტრის სივრცობრივი ხასიათიც. დიდმალოვანი მონოლითური რკინა-ბეტონის (33 მ., 36 მ., 48 მ.) კოჭ-კედლები წარმოადგენენ ძირითად მზიდ კონსტრუქციებს და ქმნიან შენობის ლაკონიურ და თავისებურ არქიტექტურას.

— ავტორთა კოლექტივისათვის განსაკუთრებით შთამაგონებელი იყო ის შეუნელებელი ინტერესი, რომელსაც ამ პროექტისადმი იჩენდნენ ფოთის საზოგადოებრიობა, პარტიული და ადმინისტრაციული ხელმძღვანელობა. შრომის სასახლე, რომლის შენებლობაში წლობრივი მონაწილეობის სურვილი გამოთქვა ქალაქის 15-მდე ორგანიზაციამ, კარგი შენაძენი იქნება ქალაქისათვის, — თქვა პროექტის თანავარმა არქიტექტორმა ვ. დავითაიამ.

გ. წიკლაური.

სურათზე: ქ. ფოთის შრომის სასახლის პროექტი.

„კომუნისტის“ ფოსტიდან

მკითხველმა გვამცნო

ახალმოსახლეობა

ქრუსულთი. ჩაქის საბჭოთა მეურნეობა აშენებს მუშა-მოსამსახურეებისათვის საცხოვრებელ ბინებს. ახლახან მეურნეობის 70 ოჯახმა ახალმოსახლეობა იზეიმა.

გ. ჩხაიძე.

ზონალური სემინარი

ჩოხატაური. წიგნის მოყვარულთა საზოგადოების რესპუბლიკურმა გამგეობამ ზონალური სემინარი მოაწყო, რომელსაც ესწრებოდნენ მახარაძის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის რაიონები და ფოთის საქალაქო გახყოფილებათა გამგეობების ხელმძღვანელები და პირველადი ორგანიზაციების თავმჯდომარეები.

გ. ვაჩეიშვილი.

მშრომელთა ჯანმრთელობისათვის

სოხუმი. რეკონსტრუქციის შემდეგ მუშაობას შეუდგა ამირეკავკასიის რკინიგზის საავადმყოფო-პოლიკლინიკის გაერთიანება (თავარი ექიმი ვ. ცეკავა). გაფართოვდა თერაპიული, სისხლის გადასხმის, ყელ-ყურ-ცხვირისა და ბავშვთა განყოფილებები, მოეწყო სოფკერაციო, სამზარეულო, სასადილო, ადმინისტრაციული ოთახები. აქვე აშენდა ახალი აფთიაქი, პალატებში დაიდგა ჰაერის კონდიციონერები. აქ ავადმყოფებსა და მნახველებს შორის კონტაქტის დასამყარებლად გამოყენებული იქნება ვიდეოტელეფონი.

ა. კუპარეიშვილი,
გაზეთ „კომუნისტის“ მუშაკორი.

კულტურის ახალი კერა

ტყიბულელმა ახალგაზრდობამ კულტურის ახალი კერა — სტუდენტური კლუბი ჩამოაყალიბა, რომელიც ძირითადად ინდუსტრიული ტექნიკუმის მოსწავლეებით დაკომპლექტდა. სცენის მოყვარულები სოფლის მშრომელების ხშირი სტუმრები არიან.

ახლახან კლუბმა რეპერტუარს ახალი დადგმა შემატა — ა. დევიძის სამმოქმედებიანი კომედია „სადიპლომო სპექტაკლი“.

ი. შარაბიძე.

კარგი ტრადიცია

ხასნაგორი ექსკურსია იესებს ახალგაზრდობის ცოდნას, აცნობს მას ჩვენი ქვეყნის ღირსშესანიშნაობებს. ამ მხრივ კარგი ტრადიცია დამკვიდრდა ზუგდიდის რაიონის ხეცერის რვაწლიანი სკოლის კოლექტივში. ამას წინათ მოსწავლეებმა დათვალიერეს ქალაქი სოხუმი, ათონის მღვიმე, რიწის ტბა და მდიდარი შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ.

მშობლიური მხარის შესწავლა საინტერესო და მომზიდველია.

ს. სიპინაბა,
პედაგოგი.

საფიქრალი და საგრძნობი

თავისუფალ ჰიდაობაში თბილისის XVII ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის შედეგებმა, ცხადია, ამ ასპარეზობის მონაწილე ყოველი ქვეყნის სპეციალისტებს ბევრი საფიქრალი გაუჩინა. ზოგი, ალბათ, კმაყოფილია, ზოგიც შემფოთებული, ზოგი კი უკვე ახლავე დინჯად შეუდგა საკუთარ გუნდში შექმნილი ვითარების ანალიზს. ერთი სიტყვით, ყველას თავისი საზრუნავი აქვს. და ჩვენ, უწინარეს ყოვლისა, საქართველოს მოჭიდავეთა გამოსვლის შედეგებზე ვისაუბრებთ.

თავდაპირველად იმაზე, ვინც გაგვახარა და ვინც სამერმისოდ წარმატების იმედი ჩაგვისახა. 90 კგ. წონითს კატეგორიაში 16 მოჭიდავეს შორის სამი ქართველი სპორტსმენი ასპარეზობდა. მათგან ყველაზე უკეთ იჭიდავა სოხუმელმა ვლადიმერ ძარშანიამ. მან ექვსი შეხვედრიდან 5 გამარჯვებით დამთავრა და მხოლოდ ერთხელ დამარცხდა ქულებით. მარშანიამ ფაქტიურად, მეორე ადგილი დაიკავა, მაგრამ იმის გამო, რომ მოპოვებული შედეგების მიხედვით თითოეული ქვეყნიდან მხოლოდ ერთ საუკეთესოს ეძლევა საპრიზო ადგილი, პრიზიორთა სამეულში ვერ მოხვდა. ამ წონაში პირველობა დაისაკუთრა ვლადიმერ ბატნიამ (სსრ კავშირი).

ყველაზე ნიჭიერი და ყველაზე პერსპექტიული მოჭიდავენი საქართველოს ნაკრებს 100 კგ წონითს კატეგორიაში ჰყავს, რომელთა შორის კვლავინდებურად მთელი თავით მაღლა დგას ჩვენი სახელოვანი ფალავანი ლევან თედიაშვილი. მან მთელი ტურნირი წარმატებით განვლო, აქვსივე შეხვედრა მოიგო და იგი ერთადერთია საქართველოს მოჭიდავეთაგან, რომელმაც ასპარეზობამი პირველობა არავის დაუთმო. ამავე წონაში წარმატებით ასპარეზს სოხუმელმა რაშ ხუტაბამ. იგი მხოლოდ თედიაშვილთან დამარცხდა, დანარჩენი შეხვედრები კარგ სტილში მოიგო და ფაქტიურად, მეორე ადგილი დაიკავა. წარმატების კარგი შანსი ჰქონდა მალხაზ მერმანიშვილს. სამწუხაროდ, მან ფეხი დაიმავა და ზედიზედ სამი გამარჯვების შემდეგ შეჯიბრებას გამოეთიშა. ხუტაბაც და მერმანიშვილიც იმედის მომცემ სპორტსმენებად გვესახებიან.

და ბოლოს კიდევ ერთი წონა — ყველაზე მძიმე. აქ მწვრთნელები განსაკუთრებულ იმედს ნოდარ მოდებაძეს აყრდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, სამი წმინდა გამარჯვების შემდეგ ხელის დაძაბვის გამო ასპარეზობას გამოეთიშა და მხოლოდ მეოთხე ადგილით დაკმაყოფილდა.

ეს არის და ეს. 10-დან 7 წონაში საქართველოს მოჭიდავეები ჯერჯერობით რამდენადმეც კი ვერ უახლოვდებიან იმ ოსტატობას, რომელიც შემდგომი წარმატების საწინდარი გახდებოდა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ დაბალ წონებში არიან ნიჭიერი ახალგაზრდები, რომელთაც თავაუფლელი შრომა დასჭირდებათ იმისათვის, რომ რაც შეიძლება ახლო ხანში ღირსეული მეტოქეობა გაუწიონ აღიარებულ ოსტატებს.

ტურნირის დღეებში ვესაუბრეთ საქართველოს ნაკრების უფროსს მწვრთნელს მარლენ ოსიყმაშვილს, რომელიც სულ რაღაც ოთხი თვეა, რაც გუნდს ხელმძღვანელობს. ამ უბრალო წარსულში ცნობილ ფალავნებს გურამ სადარაძეს, ზარიფე ბერიაშვილს, რომან რურუას, სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელს იური შახმურადოვს. თითოეული მათგანი თავისებურ შეფასებას აძლევდა აღნიშნულ ტურნირში ქართველ მოჭიდავეთა გამოსვლას, მაგრამ მათი ერთი საერთო აზრი მაინც ის გახლდათ, რომ ჩვენი სპორტსმენები ძალიან ნელი ტემპით ხვეწენ ოსტატობას, ძალიან ნელა სწვდებიან თანამედროვე ჰიდაობის ურთულეს სიღრმეებს.

დასახელებულ სპეციალისტთაგან ყველაზე ოპტიმისტური მოგვეჩვენა ზარიფე ბერიაშვილის განცხადება იმის თაობაზე, რომ ჩვენი მოჭიდავეების გამოსვლა თბილისის ტურნირში იმედიანია და მომავალში მათგან უკეთეს შედეგებს უნდა ველოდოთ. როდესაც იური შახმურადოვს ჰკითხეს, რატომ არ შეაყავს ქვეყნის ნაკრებში ქართველი ფალავნები, მან გადაჭრით უპასუხა თავის ოპონენტს: საქართველოს მოჭიდავეების პროგრესად ის მიმაჩნია, რომ მათ კარგად დაყენებული სუნთქვა აქვთ, მაგრამ ეს საქმის ძალიან პატარა ნაწილია, ისინი ძველებური ცეცხლით ვეღარ ჭიდაობენ. თვით ის ფაქტი, რომ ასლა ივანე იარიგინი უკეთ ფლობს ქართული ჭიდაობის ილეთების არსენალს, ვიდრე თქვენი თანამემამულენი, იმაზე მეთთიებს, რომ რესპუბლიკაში თავისუფალი ჭიდაობის განვითარების ტემპი საერთო-საკავშირო ერთობ ჩაორჩება.

იმას ვერ ვიტყვით, რომ რესპუბლიკის მოჭიდავეები, მათი მწვრთნელები ყურადღებით არ ყოვნენ გარეოსლიხი, მაგრამ მათგან სამაგიეროდ ღირსეულ საზღაურს ვერ ვხედავთ. ეს უთუოდ დამაფიქრებელია და გადამჭრელი ზომების მიღება ამთავითვეა საჭირო.

წონითი კატეგორიების მიხედვით თბილისის საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებულები არიან მოჰამედ ბაზმოევარი (ირანი), ალექსანდრე ივანოვი, ბუზაი იბრაგიმოვი, სულთან ხატაგოვი, იხაკ ჰაიდარბეკოვი, მუსან ალდულმუსიმოვი, ჰასან ზანგიევი, ვლადიმერ ბატნია, ლევან თედიაშვილი, ბორის ბიგაევი (ყველანი — სსრ კავშირი).

ჯ. ენუქიძე.

სურათზე: მარცხნიდან — მ. ბარბაროო (კუბა), ლ. თედიაშვილი (სსრ კავშირი) და ა. ტაშკინი (თურქეთი). ა. კოტორაშვილის ფოტო.

მეორე გამარჯვება

გუშინ ჩვენი კორესპონდენტი გ. გამრეკელი დაუკავშირდა ბადკისინგენს, ტელეფონთან მოვიდა მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტის სეკუნდანტი ბუხუტი გურგენიძე. აი რა გვიამბო მან:

— მაიამ უკვე მეორედ დაიწყო პარტია მეფის წინა პაიკით. ამის პასუხად კუშნირმა ხელი აიღო ესპანურ პარტიაზე, რომელსაც მეორე ტურში მიმართა და კროოკინის დაცვა აირჩია. დასაწყისში თეთრებმა რამდენადმე უფრო თავისუფალი თამაში მიიღეს, მაგრამ კუშნირმაც დასარულა ფაგურების განვითარება. მეოცე სვლაზე კუშნირმა მეტოქეს ლაზერის გაცვლა შესთავაზა. ჩიბურდანიძისათვის ეს გაცვლა სასურველიც კი იყო, რადგან მას შეეძლო თანდათან ხელსაყრელი ენდშპილი მიეღო. შემდეგში თანამიმდევრული და შახვილგონივრული თამაშით ჩიბურდანიძემ აშკარად აჯობა მეტოქეს. ის ერთმანეთს უხამდა ტაქტიკურ დარტყმებსა და სტრატეგიულ მანევრებს. 33-ე სვლაზე მაიამ პაიკის საინტერესო შეფრვით შებოჭა მეტოქე, თეთრების გამსვლელმა პაიკმა მეშვიდე ჰორიზონტალს მიაღწია, ეტლიც შავების განლაგებაში შეიჭრა, კუ ცენტრში მოქმედებდა. მძიმე პოზიციაში, რათა რამდენადმე მაინც განთავისუფლებულიყო, კუშნირმა თეთრებს უკანვე დაუბრუნა პაიკი. მაიამ პარტია მოსაგებ პოზიციაში გადაყო.

აი, როგორ მიმდინარეობდა ეს პარტია:

1. e4 c6 2. d4 d5 3. ∅d2 de 4. ∅:e4 ∅d7 5. ∆c4 ∅gf6 6. ∅g5 e6 7. ♕e2 ∅b6 8. ∆d3 h6 9. ∅:f3 c5 10. dc ∅bd7 11. ∅e5 ∅:e5 12. ♗:e5 ∅d7 13. ♕e2 ∅:c5 14. ∆b5+ ∆d7 15. ∆:d7+ ♔:d7 16. ∅f3 ∆d6 17. 0-0 0-0 18. b3 ♘fd8 19. ∆b2 ♖c6 20. ♘ad1 ♕e4 21. ♗:e4 ∅:e4 22. ♘d4 f5 23. ♘fd1 ♘dc8 24. c4 ♘c6 25. ∅e5 ♘a6 26. f3 ∆:e5 27. ♘d8+ ♘:d8 28. ♘:d8+ ∅gf7 29. ∆:e5 ∅f6 30. ♘b8 ♘:a2 31. ♘:b7+ ∅g6 32. ♘e7 ♘a3 33. c5 ♘:b3 34. c6 ♘b1+ 35. ∅gf2 ♘c1 36. c7 f4 37. ∆:f4 ♘c2+ 38. ∅ge1 ∅d5 39. ♘e8 ∅b6 40. ∆e5 ∅gf7.

ამ მდგომარეობაში პარტია გადაიდო. ჩიბურდანიძემ ჩაიწერა 41-ე სვლა.

წუხელ ჩვენ კვლავ დავუკავშირდით ბად-კისინგენს. გვესაუბრა დელეგაციის ხელმძღვანელი გიორგი გაჩეჩილაძე.

— ანალიზმა გვიჩვენა, რომ მაიას პოზიცია მოსაგები გახლდათ, მხოლოდ საჭირო იყო გარკვეული სიზუსტე. კუშნირი შეეცადა პაიკის შეწირვით აემღვრია წყალი, მაგრამ ამაოდ. ჩიბურდანიძემ კიდურა პაიკი დაძრა და უკვე 47-ე სვლაზე კუშნირი დანებდა.

პარტია ასე დამთავრდა.

41. ♘b8 (ჩაწერილი სვლა) g5 42. ♘h8 ∅g6 43. ♘f8 ♘c6 44. g4 h5 45. ♘f6+ ∅gh7 46. gh ∅:g8 47. ♘h6 და შავები დანებდნენ.

ამრიგად, მატჩის ანგარიში გახდა 3:1 ჩიბურდანიძის სასარგებლოდ.

დღეს მორიგ, მეხუთე პარტიაში თეთრებით ითამაშებს კუშნირი.

... ... თასები...

ქვირას, 29 იანვარს ბაკურიანში სტარტი აიღო საკავშირო თასებმა. გათამაშებამ სათხილამურო სპორტში. ეს შეჯიბრებები გამოიცდელნს ავრეთვე იმ სპორტსმენებს, რომლებიც ფინეთში, ქ. ლაბტში დაიკავეს ჩვენი ქვეყნის ღირსებას მსოფლიო პირველობაზე.

ორჭიდილებმა თავიანთი პაექრობა დაიწყეს ტრამპლინიდან ხტომით. 70 მეტრიან ტრამპლინზე ორი ციდის ჯამში საუკეთესო შედეგი — 217,5 ქულა (ხტომების სიგრძე 74,5 და 75 მ) ჰქონდა ლენინგრადის ოლქის წარმომადგენელს ს. ოფელნენკოს.

გუშინდელ რბოლებს უნდა ჯამოვლინა თასის მფლობელი და პრიზიორები. აქ თავი გამოიჩინა გამოცდილმა კემერეროველმა ორჭიდელმა ნ. ნოვოვიცინმა, მან 15 კმ დისტანციის გავლის 47 წუთი და 33 წამი მოანდომა, წინა დღეს ტრამპლინზე დაკავებული მე-6 ადგილიდან პირველზე გადმოინაცვლა (431,4 ქულა) და თასიც დაისაკუთრა.

გუშინვე გაიმართა საკავშირო თასის გათამაშება სათხილამურო რბოლებში ქალთა შორის. 10 კმ. დისტანცია ყველაზე სწრაფად გაირბინა გ. ჟულკოვამ (31.29,8).

შეჯიბრება გრძელდება.

ზ. მიქაძე,
(ტელეფონით, ჩვენი სპეც კორ.).

ნახევარფინალში გავიდნენ

დანიაში დაწყებულ ხელბურთელ ვაჟთა IX მსოფლიო ჩემპიონატის ქვეჯგუფში სსრ კავშირის ნაკრებმა თავისი უკანასკნელი მატჩი დანიის გუნდთან დამთავრა თრიდ — 16:16 (9:8). ეს ორივე გუნდი გავიდა ნახევარფინალში. მათთან ერთად ნახევარფინალურ ჯგუფში ითამაშებენ შეიცავისა და პოლონეთის კოლექტივები. მეორე ნახევარფინალურ ჯგუფში ისპარეზობენ რუმინეთის, გდრ-ის, გფრ-ის და იუგოსლავიის გუნდები. ამ კვარტეტში მოსლოდნელია ცვლილება, რადგან უნგრელებმა გააპროტესტეს რუმინელებთან მატჩის შედეგი. ისინი თვლიან, რომ ბოლო ბურთი მათ კარში გაფრინდა მას შემდეგ, რაც შეხვედრის დრო ამოიწურა.

ყაიმიც ჰყოფნის

კიკინდავი (იუგოსლავია) გოგონათა შორის ევროპის თასის გათამაშებაზე ერთი ტურიდა დარჩა. 8 ტურის შემდეგ 6,5 ქულით პირველ ადგილზეა ოსტატი ნანა ოსიელიანი. იგი მეორე ადგილზე მყოფ მოჭადრაკეს ერთი ქულით უსწრებს. ასე რომ, ქართველ მოჭადრაკეს ბოლო ტურშა ყაიმიც აძლევს ხელს თასის მოსაპოვებლად. უკანასკნელი, მეცხრე ტური დღეს გაიმართება.

ორი ჩემპიონი

ქვირას გაიმართა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდებისათვის დიდოსტატ ბ. გულკოსა და საერთაშორისო ოსტატ ი. დორფმანის დამატებითი მატჩის მეექვსე პარტია. რომელომე მეტოქის მოგების შემთხვევაში, იგი შეიძლებოდა უკანასკნელი გამომდგარიყო, მაგრამ ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია უპირატესობას და 28-ე სვლაზე ყაიმი აღინიშნა.

ამრიგად, 6 პარტიის შემდეგ ანგარიში თანაბარი გახდა — 3:3.

საკავშირო საჭადრაკო ფედერაციის გადაწყვეტილებით ორივეს მიენიჭა სსრ კავშირის 1977 წლის ჩემპიონის წოდება.

— მოკლედ

ქალათბურთი. გაიმართა უმაღლესი ლიგის ქალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები. გთავაზობთ შედეგებს: „დინამო“ (მოსკოვი)-ვეფი (რიგა) — 152:126, ცსკა-„დინამო“ (თბილისი — 137:97, „ჟალგირისი“ (კაუნასი)-„სპარტაკი“ (ლენინგრადი) — 93:86, „კალევი“ (ტალინი)-„სტროიტელი“ (კიევი) — 89:88.

ძალოსნობა. ბაკოში გამართულ არმიელ სპორტსმენთა ტურნირში მეორე ჩვეშმეიმე წონაში მსოფლიო მიღწევა ნახევარი კილოგრამით გაუმჯობესა ბაკოელმა ა. საიდოლაევმა. მან აკვრაში აჩვენა 222 კგ.

ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დანიშნა:

ამხ. ა. რ. სანებლიძე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ;

ამხ. ზ. შ. ლომიძე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო საინფორმაციო საგეგმოს დირექტორის მოადგილედ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ გაათავისუფლა:

ამხ. ნ. ა. ფოფხაძე საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო;

ამხ. ვ. ი. ოდიშვილი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

... ...



ჩქეფდეს პიონერული ცხოვრება

გამოცდილება — ყველას საკუთრება

ტყიბული. (საკ. კორ.). აქ ხამდღეს მიმდინარეობდა ქალაქის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მუშაობის გამოცდილების განზოგადებისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური შეკრება, რომელიც საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, განათლების სამინისტრომ და შრომის წითელი დროშის ორდენოსანმა ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა რესპუბლიკურმა სასახლემ მოაწყვეს.

შეკრების მონაწილეები გაეცნენ ბავშვთა შორის მუშაობის ორგანიზაციასა და მეთოდებს, მონაწილეობა მიიღეს ზონალურ-კომპლექსურ სემინარებში, დაესწრნენ ფერწერა-ქანდაკების მხატვრული კითხვის,